



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 აგვისტო, 2022



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმალესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი : ჯილდა

გვარი: ჭეიშვილი



## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი Master of Public Health (MPH)
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით <sup>3</sup>	N/A
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული
7	სწავლების ენა	ინგლისური ენა
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
9	განხორციელების ადგილი <sup>5</sup>	საქართველო,

<sup>1</sup> დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup> ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup> განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup> ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



		თბილისი, ბელიაშვილის №78; ვაჟა-ფშაველას გამზირი №44
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ, 2018 წლის 26 იანვრის სხდომა N5; გადაწყვეტილება N21
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 4 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 4 აგვისტომდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან



1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

### შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი<sup>6</sup>

1. საგნებში ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა;
2. რეკომენდებულია ხელშეკრულებებში მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, სავარაუდო პრაქტიკანტების/მკვლევარების რაოდენობით;
3. რეკომენდირებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი

<sup>6</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო განსაზღვრა მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის;

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 20 ივლისს წარმოდგენილ იქნა ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, რომელიც აღწერს სამაგისტრო პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (04.02.2022) შედეგად რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციას. ინსტიტუციის მიერ მოწოდებული ანგარიშის თანახმად პროცესში ჩართული იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც აკადემიური, ისე პროგრამაში მონაწილე მოწვეული პერსონალითა და ადმინისტრაციით (დეკანი, ბიბლიოთეკის და რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლები), რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (04.02.2022) რეკომენდაციებისა და რჩევების შესწავლის, შესრულებისთვის ეფექტური მიდგომის, დაგეგმვისა და განხორციელების, შესრულების შემაჯამებელი ანგარიშის ჩამოყალიბებაში. რეკომენდაციებისა და რჩევების განხილვის პროცესში ჩართული იყო უცხოელი პარტნიორები, პროცესში გათვალისწინებულ იქნა მათი აზრიც, კერძოდ: გერმანელი ექსპერტის (Institute of Global Health, Heidelberg University, Germany), და გოტენბურგის უნივერსიტეტის (შვედეთი) პერსონალის მოსაზრებები და სხვა.

მასალების შესწავლის პროცესში საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა ინსტიტუციისაგან, შესწავლილ იქნა თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა მოწოდებულ ანგარიშთან, შეფასდა მეთოდები და მიდგომები, რომელიც ინსტიტუციამ გამოიყენა რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად, მომზადდა რეკომენდაციების და რჩევების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა. გაცემული სამი რეკომენდაციიდან დაწესებულებამ გაითვალისწინა სამივე რეკომენდაცია, წარმოადგინა დამატებითი მასალა, რომელიც აღწერს და ამყარებს რეკომენდაციების შესრულებას, მიუხედავად იმისა რომ ინსტიტუციას რჩევის შესრულების ვალდებულება არ გააჩნია, გაცემული რჩევებიდან დაწესებულებამ გაითვალისწინა ერთი (2) რჩევა ნაწილობრივ, ხოლო (1) და (3) რჩევების გათვალისწინება არ მოხდა, თუმცა წარმოდგენილი დამატებითი მასალა და არგუმენტები მიუთითებს რომ კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

<sup>7</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



## რჩევები<sup>8</sup>

1. სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, წარმოჩნდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს, კომპეტენციებს გამოუმუშავებს, იძლევა პროგრამა რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობის გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
2. სასურველია გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნის კომპონენტის აღწერაში ტექნიკური უზუსტობა;
3. სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურების მოთხოვნა მიღების წინაპირობების საერთაშორისო გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით;

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 20 ივლისს წარმოდგენილ იქნა ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, რომელიც აღწერს სამაგისტრო პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (04.02.2022) შედეგად რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციას. ინსტიტუციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისაგან შეისწავლა აკრედიტაციის დროს გაცემული რჩევები და რეკომენდაციები და მოამზადა ანგარიში. პროცესში ჩართული იყო უცხოელი კოლეგები (იხ.საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია);

<sup>8</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

<sup>9</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



## დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health) შემუშავებულია ნორვეგიის განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის Georgian-Norwegian Collaborative in Public Health ფარგლებში ნორვეგიის არქტიკული/ტრომსოს უნივერსიტეტის პროფესურასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროგრამის განხორციელებელი პერსონალის ჩართვა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში კიდევ უფრო საინტერესოს ხდის პროგრამას: NIH (აშშ) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული ორი პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAsTern Europe და INITIatE - International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe; ევროკავშირის დაფინანსებული Erasmus + ორი პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)” და „Building Academic Capacity in Global Health in the Eastern Europe - Central Asia Region (BACE)”. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ინსტიტუციის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებისა და რჩევების განხილვის პროცესში სრულად იქნა ჩართული საერთაშორისო პარტნიორები, გაიმართა სამუშაო შეხვედრები: სლოვაკეთის ბრატისლავას სამედიცინო უნივერსიტეტში (სლოვაკეთი), ლინცის უნივერსიტეტი (ავსტრია), ნორვეგიის არქტიკული/ტრომსოს უნივერსიტეტი, გოტენბურგის უნივერსიტეტში (შვედეთი);

სამუშაო ვიზიტის დროს მიღებული იქნა ინფორმაცია, რომ დაფინანსდა კიდევ ერთი საერთაშორისო, კერძოდ Erasmus + პროექტი KA171 - HED Mobility of Higher Education students and staff supported by external policy funds, რომელიც ამოქმედდება 2022 წლის 1 აგვისტოდან, 2025 წლის 1 აგვისტომდე, და რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას გოტენბურგის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის უშუალოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

პროგრამის შემუშავებისა და პროგრამის განვითარების პროცესი მოხსენებულ იქნა საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონფერენციებზე (European Public Health Association), რაც პროგრამის განვითარების და ხარისხის გაუმჯობესების კიდევ ერთი ძლიერი მხარეა.

---

<sup>10</sup> საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება <sup>13</sup>	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I <sup>14</sup>	არ არის
შეფასება	-
რჩევა <sup>15</sup> I	სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, წარმოჩნდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს, კომპეტენციებს გამოუმუშავებს, იძლევა პროგრამა რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობის გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
შეფასება	სამაგისტრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო სწავლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალური ქსელის გარემოში, უზრუნველყოს დარგში მომავალი ლიდერებისათვის ფართო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შექმნა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, გამოკვეთილია როგორც ცოდნის, ასევე უნარების კომპეტენციების გამომუშავების კომპონენტები, მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო დაკონკრეტებულია

<sup>11</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup> სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup> კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>14</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>15</sup> საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების კომპეტენციები, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტენდენციები. პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health) მიზნები შეესაბამება მედიცინის ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; <b>დასკვნა: ამდენად რჩევა არ არის გათვალისწინებული.</b> თუმცა კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health);</li> <li>• რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;</li> <li>• ვებგვერდი: <a href="https://tsu.ge/assets/media/files/77/Documents/Public%20Health%20-%20Program%20Description%20-%202016.pdf">https://tsu.ge/assets/media/files/77/Documents/Public%20Health%20-%20Program%20Description%20-%202016.pdf</a></li> </ul>

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია <sup>16</sup>	არ არის
აღწერა	-
რჩევა <sup>17</sup> II	სასურველია გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნის კომპონენტის აღწერაში ტექნიკური უზუსტობა;
შეფასება	<p>თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირების შემდეგ, სწავლის შედეგი N2 ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: LO2-analyze and critically reflect/reasoning of public health issues, social, economic and environmental determinants of population health in a local and global contexts.”</p> <p>(საწყისი ვერსიაა: LO2-analyze, evaluate and critically reflect/reasoning of public health issues,</p>

<sup>16</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>17</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>social, economic and environmental determinants of population health in a local and global contexts.”) თუმცა, ხაზგასასმელია რომ ცოდნის კომპონენტში ანალიზის გამოტანა (LO2 -analyze and critically reflect/reasoning of public health issues, social, economic and environmental determinants of population health in a local and global contexts) უნარების კომპონენტია და არა ცოდნის, შესაბამისად უნდა ჩაითვალოს რომ მიუხედავად იმისა რომ ინსტიტუციამ იმუშავა აღნიშნული რჩევის გათვალისწინებაზე, ხარვეზი ბოლომდე გამოსწორებული არაა და რჩევა კვლავ რჩება. ხაზგასასმელია რომ პროგრამის შეფასებისას (8.08.2022) ვებგვერდზე ატვირთულია პროგრამის ძველი ვერსია (2018 წ), ატვირთულია ძველი ვერსია რაც გასაახლებელია <b>დასკვნა: რჩევა ნაწილობრივ არის გათვალისწინებული</b></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health);</li> <li>• რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;</li> <li>• ვებგვერდი:<a href="https://tsu.ge/assets/media/files/77/Documents/Public%20Health%20-%20Program%20Description%20-%202016.pdf">https://tsu.ge/assets/media/files/77/Documents/Public%20Health%20-%20Program%20Description%20-%202016.pdf</a></li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია <sup>18</sup>	არ არის
აღწერა	-
რჩევა <sup>19</sup> III	სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტროპროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურების მოთხოვნა მიღების წინაპირობების საერთაშორისო გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.

<sup>18</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>19</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



<p>შეფასება</p>	<p>პროგრამაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health) დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის პირობა შეიძლება ჩათვლილიყო არასაკმარისად (სოციალური მეცნიერებები ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებში: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა, გარემოს ჯანრთელობა, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა- 5ECTS დადასტურების შემთხვევაში) რაც საჭირო იქნებოდა სწავლის შედეგზე გასასვლელად, თუმცა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ნათლადაა ასახული პროგრამის კურსდამთავრებულების წარმატების შედეგები, რაც გაზომილ იქნა ინსტიტუციის მიერ, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებით (სამეცნიერო სტატიების პუბლიკაცია):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• Early and late detection of cancer in Georgia: Evidence from a population-based cancer registry, 2018-2019. Batavani T, Kereselidze M, Chikhladze N, Pitskhelauri N. Cancer Epidemiology (იმპაქტ-ფაქტორი - 2,89), 2022;</li> <li>• Observational retrospective study of the pre-hospital care of TBI patients: call for actions. N Pitskhelauri, F Halliday, N Chikhladze, A Tsiskaridze – BMJ Injury Prevention (იმპაქტ-ფაქტორი - 2,399) , 2022;</li> <li>• Cross-sectional study – the prevalence and effects of workplace violence against medical staff in three hospitals of Tbilisi, Georgia – M. Kareli, N Pitskhelauri– BMJ Injury Prevention (იმპაქტ-ფაქტორი - 2,399) , 2021;</li> </ul> <p>დასკვნა: რჩევა არ არის გათვალისწინებული.</p>
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა</li> <li>• რეკომენდაციების შესრულების ანგარიში</li> <li>• <a href="https://injuryprevention.bmj.com/content/27/Suppl_3/A24.2">https://injuryprevention.bmj.com/content/27/Suppl_3/A24.2</a></li> <li>• <a href="https://injuryprevention.bmj.com/content/28/Suppl_1/A45.1">https://injuryprevention.bmj.com/content/28/Suppl_1/A45.1</a></li> <li>• <a href="https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/35841760/">https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/35841760/</a></li> </ul>



--	--

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია I <sup>20</sup>	საგნებში ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა;
შეფასება	<p>შესწავლილ იქნა რეკომენდაციის ფარგლებში გაცემული სილაბუსები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I-სავალდებულო სასწავლო კურსი, 10ECT;</li> <li>• ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II-სავალდებულო სასწავლო კურსი,10ECT;</li> <li>• ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა -სავალდებულო სასწავლო კურსი,10ECT;</li> <li>• გლობალური ჯანმრთელობა-არჩევითი სასწავლო კურსი,5 ECT;</li> </ul> <p>სილაბუსებში მიზნებისა და სწავლის შედეგების მოდიფიცირებაში ჩართული იყო უცხოელი პროფესორა (პარტნიორი უნივერსიტეტიდან), ისე რომ შესაფასებლად წარმოდგენილ ოთხივე სილაბუსში ამჟამად სწავლის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია ერთმანეთთან.</p> <p>ამავდროულად სილაბუსებში წარმოდგენილია უახლესი სასწავლო ლიტერატურა, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• Gordis Epidemiology – Leon Gordis (5th edition) 2014; (6th edition) 2019;</li> <li>• Jan Abel Olsen. Principles in health economics and policy, 2009; 2017- სასწავლო კურსის</li> </ul>

<sup>20</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>„ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა“;</p> <p>ასევე, მოხდა ტექნიკურად გამორჩენილი ლიტერატურის დამატება (კერძოდ თსუ ბიბლიოთეკაში არსებული SPSS survival manual: a step by step guide to data analysis using SPSS for Windows (version 12) / Julie Pallant/2016) - სასწავლოკურსისათვის ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა 1,2;</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად ინსტიტუციამ ასევე გამოიყენა საერთაშორისო თანამშრომლობის ძლიერი მხარე, კერძოდ BACE – (გლობალურ ჯანმრთელობაში აკადემიური შესაძლებლობების გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში)- პროექტის ხელმძღვანელის გერმანელი ექსპერტის მიერ მოწოდებული რჩევა სწავლების პროცესში უახლესი სამეცნიერო სტატიების გამოყენების უპირატესობის შესახებ, რომელიც იმპლემენტირებულია სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო კურსში „Global Health“ (გლობალური ჯანმრთელობის). <u>დასკვნა: რეკომენდაცია შესრულებულია</u></p>
რჩევა <sup>1</sup>	არ არის
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• დანართი №7 - ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I,</li> <li>• დანართი №8 - ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, დანართი</li> <li>• №9 - ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა; დანართი</li> <li>• №10 - გლობალური ჯანმრთელობა</li> <li>• თსუ ბიბლიოთეკი ელ.კატალოგი: <a href="https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/234701?qttype=author;locg=1;detail_record_view=0;query=Olsen%20%20Jan%20Abel">L.https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/234701?qttype=author;locg=1;detail_record_view=0;query=Olsen%20%20Jan%20Abel</a></li> <li>• დანართი №4 - ამონაწერი თსუ მედიცინის</li> </ul>



	<p>ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომის ოქმიდან (ოქმი №5; 10.06.2022);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დანართი №5 - ამონაწერი თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან (ოქმი №8; 14.06.2022)</li> <li>• რეკომენდაციის შესრულების ანგარიში</li> </ul>
--	---

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II <sup>1</sup>	რეკომენდებულია ხელშეკრულებებში მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, სავარაუდო პრაქტიკანტების/ მკვლევარების რაოდენობით;
შეფასება	<p>სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გამოყენებულია შემდეგი დაწესებულებები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. აკადემიკოს თ. ლუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრი ( ხელშეკრულების N 15/08);</li> <li>2. სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ( ხელშეკრულების N 41/05);</li> </ol> <p>ორივე დაწესებულებასთან არსებულ ხელშეკრულებასთან დამატებით გაფორმდა შეთანხმება რომლის საფუძველზე ხელშეკრულებას დაემატა პუნქტი რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: “პრაქტიკის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში/სამუშაო გარემოში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება, პრაქტიკული გამოცდილების შექმნა; ასევე პრაქტიკაში/სამუშაო გარემოში საქმიან ურთიერთობებში მონაწილეობა და ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების განვითარება. სავარაუდო პრაქტიკანტების</p>



	<p>რაოდენობა-24.”;</p> <p>ინსტიტუციიდან დამატებით იქნა გამოთხოვლი სტატისტიკური ინფორმაციას პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესახებ (2018 წელი - ჩაირიცხა 11 სტუდენტი; 2019 წელი - ჩაირიცხა 6 სტუდენტი; 2020 წელი - ჩაირიცხა 14 სტუდენტი; 2021 წელი - მიღება არ გამოცხადებულა) რომლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სავარაუდო პრაქტიკანტების რაოდენობის (24) გატარება სრულიად შესაძლებელია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით</p> <p><u>დასკვნა: რეკომენდაცია შესრულებულია</u></p>
რჩევა <sup>1</sup>	არ არის
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეთანხმება დანართი №11</li> <li>• შეთანხმება დანართი №12</li> <li>• რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;</li> <li>• სტატისტიკურ ინფორმაციას პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესახებ;</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია III <sup>21</sup>	რეკომენდირებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო

<sup>21</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	განსაზღვრა მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის.
შეფასება	<p>წარმოდგენილი მასალებით მტკიცდება რომ ინსტიტუციამ იმუშავა აღნიშნულ რეკომენდაციაზე, კერძოდ: რიგი შეფასების კომპონენტები უფრო დაიხვეწა (მაგ: ესსე, რომელშიც ქულათა რანჟირება იყო 1-8, ახალ შეფასების სისტემაში წარმოდგენილია ხუთ კომპონენტად (Content, Organization, Understanding, style, sentence Structure, Mechanics თითოეული კომპონენტის შეფასების გრადაცია მერყეობს 1 დან 4 ქულამდე, კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით), ასევე დაკონკრეტდა პრეზენტაცია ფასდების კრიტერიუმები და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები;</p> <p>ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლისა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის განხილვით ირკვევა რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ჩანაწერი „ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი შეფასება“- უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით გამარტავს შეფასების მხოლოდ თვისებრივ მხარეს რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად.</p> <p><b>დასკვნა: რეკომენდაცია შესრულებულია</b></p>
რჩევა <sup>22</sup>	არ არის
აღწერა	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;</li> <li>• დანართი №13 - Students Guide- Description of Assessment Criteria</li> <li>• სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი</li> </ul>

<sup>22</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



## თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი №1 – ამონაწერი თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომის ოქმიდან (ოქმი №1; 21.02.2022) (2 გვერდი)
- დანართი №2 – ამონაწერი თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომის ოქმიდან (ოქმი №2; 28.02.2022) (1 გვერდი)
- დანართი №3- თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამუშაო ჯგუფის გეგმა-გრაფიკი (2 გვერდი)
- დანართი №4- ამონაწერი თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომის ოქმიდან (ოქმი №5; 10.06.2022) (1 გვერდი)
- დანართი №5 - ამონაწერი თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან (ოქმი №8; 14.06.2022) (2 გვერდი)
- დანართი №6 - სამაგისტრო პროგრამის Public Health აღწერილობა (14 გვერდი)
- დანართი №7 - სილაბუსი Epidemiology and Biostatistics I (7 გვერდი) დანართი №8 - სილაბუსი Epidemiology and Biostatistics II (5 გვერდი)
- დანართი №9 - სილაბუსი Health Management, Economics and Policy (6 გვერდი) დანართი №10 - სილაბუსი Global Health (7 გვერდი)
- დანართი №11 - შეთანხმება - NCDC (2 გვერდი)
- დანართი №12 - შეთანხმება - აკად. ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამ. ცენტრი (1 გვერდი)
- დანართი №13 - Students Guide- Description of Assessment Criteria (17 გვერდი)

## დამატებითი დოკუმენტაცია

სტატისტიკურ ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესახებ;

კვლევითი კომპონენტის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი (4 გვერდი);

სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health ქართულ ენაზე (7 გვერდი);

ექსპერტის ხელმოწერა:

ჯილდა ჭეიშვილი